ს-29
34 (05)
ს-29.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. თებერვლის 27. № 3 ტფილისი

## შინაარსი

სოციალური უზრუნველყოფა.

47. პერსონალური პენსიების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება პერსონალური პენსიების შესახებ.

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოციალური უზრუნველყოფა.

### 47. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**პერსონალური პენსიების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1933 წლის იანვრის 1-დან ქვემომდევნო დებულება პერსონალური პენსიების შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივლისის 9-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 207);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 29-ის დადგენილება „პერსონალური პენსიების დებულების გაუქმების და პერსონალური პენსიების დანიშვნის წესის დამყარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 49).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## პერსონალური პენსიების შესახებ.

### კ ა რ ი I.

### იმ პირთა წრე, რომელნიც უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ პერსონალური პენსიით.

1. პერსონალური პენსიისა და ერთდროული დახმარების მიღების უფლება, ამა დებულების წესისამებრ, დადგენილია განსაკუთრებული დამსახურებისათვის რესპუბლიკის წინაშე რევოლუციონური, სამხედრო, პროფესიონალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში, საბჭოთა მშენებლობაში და აგრეთვე მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტექნიკის სფეროში.

2. უცილობელი უფლება პერსონალური პენსიის და დახმარების მიღებისა აქვთ:

ა) იმ რევოლუციონური პარტიების წევრთ, რომლებიც აქტიურად იბრძოდენ პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის;

ბ) იმ პირთ, რომელნიც თავიანთი გმირული ღვაწლისათვის ან განსაკუთრებული ნაშრომისათვის დაჯილდოებულ არიან ერთი ან რამდენიმე ორდენით, რაც დაწესებულია სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ მთავრობის მიერ;

გ) იმ პირთ, რომელთაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით—მინიჭებული აქვთ რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება ან მეცნიერებასა, ხელოვნებასა და ტექნიკაში დამსახურებული მოღვაწის წოდება.

3. ამის გარდა პერსონალური პენსია და დახმარება შეიძლება დაენიშნოს აგრეთვე:

ა) იმ პირთ, რომელთაც განიცადეს მეფის ან კაპიტალისტური მთავრობის რეპრესიები აქტიური ფარული რევოლუციონური მუშაობისათვის, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პირობით, თუ ეს პირნი არ გამოსულან პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ;

ბ) განსაკუთრებით გამოჩენილ მოღვაწეთ სახელმწიფო, სამხედრო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, სატექნიკო და საგამომგონებლო სფეროში, რომელთაც თავიანთი მუშაობით, ნაწარმოებით და გამოგონებით შეიტანეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა კულტურაში, მეცნიერებაში და ტექნიკაში და ხელი შეუწყეს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებას;

გ) შრომის გმირს, რომელსაც ეს წოდება მინიჭებული აქვს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

4. პერსონალური პენსია და დახმარება მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნულ პირთ ენიშნებათ, უკეთუ ცნობილ იქნა მათი შრომისუუნარიანობა (ე. ი. უკეთუ ისინი მიკუთვნებულ იქნენ ინვალიდობის ერთ-ერთ პირველ სამ ჯგუფთაგანს), ან უკეთუ მათ მიაღწიეს: მამაკაცებმა—55 წლის ასაკს და დედაკაცებმა—50 წლის ასაკს.

5. პერსონალური პენსია და ერთდროული დახმარება, ამა დებულების წესისამებრ, ინიშნება იმისდამიუხედვად, თუ სად მიმდინარეობდა განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირის მოღვაწეობა, უკეთუ ეს პირი ახლა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ცხოვრობს.

6. უკეთუ ის პირი, ვინც იღებდა პერსონალურ პენსიას, ან ვისაც უფლება ჰქონდა მიეღო ეს პენსია (მე-2 და 3 მუხ.), გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, და ეს უკანასკნელი გარემოება სათანადოდ დამტკიცებულია, პენსიის მიღების უფლება გადადის გარდაცვალებულის ოჯახის შემდეგ არასრულწლოვან ან შრომისუუნარო წევრებზე, რომელნიც სიკვდილის წამს მის რჩენაზე იყვნენ:

ა) 18 წლის ასაკს მიუღწეველ შვილზე, ძმაზე, დაზე და აგრეთვე ამავე პირებზე, ასაკის მიუხედავად, უკეთუ ისინი შრომისუუნარონი გახდნენ 18 წლამდე;

ბ) მშობლებზე და მეუღლეზე, რომელთაც მიაღწიეს: მამაკაცებმა—60 წლის ასაკს და დედაკაცებმა—55 წლის ასაკს, ან უკეთუ ისინი სათანადო წესით ცნობილ არიან შრომისუუნარო პირებად;

გ) შრომისუნარიან მშობლებზე ან მეუღლეზე, რომელნიც უვლიან გარდაცვალებულის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ 8 წლის ასაკს მიუღწეველ შვილებს, ძმებს და დებს.

7. პერსონალური პენსია შვილებს, ძმებს და დებს (მე-6 მუხ. „ა„ პუნქტ. ეძლევათ 18 წლამდე, ხოლო მათ შორის სასწავლებლებში მოსწავლეთ—ტექნიკუმსა და უმაღლეს სასწავლებლებში კურს-დამთავრებამდე, მაგრამ არაუხანგრძლივეს 25 წლის ასაკის მიღწევისა; იმ პირთ-კი, ვინც ცნობილია შრომის უნარმოკლებულად (მე-6 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტ.), და ეს შრომისუუნარობა მყარი ხასიათისაა, პენსია ეძლევათ სიკვდილამდე.

საჭირო შემთხვევაში პერსონალური პენსია შეიძლება დაენიშნოს გარდაცვალებული პენსიონერის ინვალიდ შვილებს, ძმებს და დებს, თუნდაც ისინი ინვალიდებად 18 ან 25 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გამხდარიყვნენ, და აგრეთვე, თუნდაც ისინი არ ყოფილიყვნენ იმ პირის რჩენაზე, ვისაც პერსონალური პენსიის მიღების უფლება ჰქონდა.

## ᲗᲐᲠᲘ II.

### პერსონალური პენსიის და ერთდროული დახმარების დანიშვნის წესი.

8. თხოვნა პერსონალური პენსიის და ერთდროული დახმარების დანიშვნის შესახებ აღიძვრის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული პერსონალური პენსიების დანიშვნის საქმეთა კომისიის წინაშე:

ა) ამა დებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ პირთა თაობაზე—როგორც თვით ამ პირებისა, ისე სხვა პირებისა და ორგანიზაციების მიერ;

ბ) ამა დებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილ პირთა თაობაზე—საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებისა, პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობათა მიერ—კუთვნილებისამებრ.

9. პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ შეტანილ თხოვნაში აღნიშნულ და დოკუმენტებით დამტკიცებულ უნდა იქნეს: იმ პირის დამსახურება საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე, რომლის თაობაზედაც აღიძვრის თხოვნა, ან მისი რევოლუციონური სტაჟი და მოკლე ბიოგრაფია, აგრეთვე ოჯახის შედგენილობა და ამ ოჯახის წევრთა ასაკი.

10. პერსონალური პენსიისა და ერთდროული დახმარების შესახებ შეტანილ თხოვნას იხილავს მე-8 მუხლში აღნიშნული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, კომისია, რომელიც ეწყობა შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე და წევრები—ფინანსთა, შრომისა და განათლების სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელნი, რომელთაც პერსონალურად ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

11. კომისიის გადაწყვეტილება პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ ძალაში შედის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

12. პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იყოს რა დროიდან და რა რაოდენობით არის პენსია დანიშნული, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პენსია ენიშნება განსაკუთრე-

ბიბლიოთეკა

ბული დამსახურების მქონე პირის ოჯახს, აღნიშნულ უნდა იქნეს, ამ პენსიის რა ნაწილი ეძლევა ოჯახის თვითეულ. წევრს, უკეთუ ოჯახის წევრნი ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

**13.** პერსონალური პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით და მარტოოდენ შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ იმ პირს, რომელიც პერსონალურ პენსიას იღებს, ჩამოერთვა არსებული წესისამებრ საბჭოთა საარჩევნო უფლება (უკანასკნელი ინსტანციის მიერ ამის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ);

ბ) უკეთუ გამოტანილ იქნა სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გათვალისწინებულია პენსიის უფლების ჩამორთმევა (თუ განაჩენი განსაჩივრებულია,—უკანასკნელი ინსტანციის მიერ ამის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ).

## კარი III.

### სახსარი პერსონალური პენსიებისა და ერთდროული დახმარების გაცემისათვის, პენსიების და დახმარების რაოდენობა და გაცემის წესი.

**14.** ამა დებულების წესისამებრ დანიშნული პერსონალური პენსიები და ერთდროული დახმარება გაიცემა სახელმწიფო სახსრიდან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

**15.** უკეთუ პერსონალური პენსია დაენიშნა და ერთდროული დახმარება მიეცა იმ პირს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს პენსია სოციალური დაზღვევის წესით, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს სოციალური დაზღვევის კომიტეტს შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით ამ პირისათვის დანიშნული პერსონალური პენსიის 50%.

**16.** პერსონალური პენსიის რაოდენობა განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რა თვისებისა და ხასიათისაა იმ პირის განსაკუთრებული დამსახურება, რომელსაც პენსია ენიშნება, რამდენად დაკარგული აქვს შრომის უნარი, რა ასაკისაა, რამდენი პირი იმყოფება მის რჩენაზე, და აგრეთვე რა ჩვეულებრივი სამუშაო საშოვარი აქვს მას. ამასთანავე, როგორც საერთო წესი, პერსონალური პენსია არ უნდა აღემატებოდეს პასუხისმგებელი პოლიტიკური მომუშავის ტარიფის განაკვეთს პირველი სატარიფო ზოლის კვალობაზე, ამ განაკვეთისა და დატვირთვის სასყიდლის ერთად ჩათვლით.

**17.** ამა დებულების მე-6 და მე-7 მუხ. თანახმად, განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირის ოჯახის წევრებისათვის დასანიშნი პერსონალური პენსიის რაოდენობა განისაზღვრება თვითეულ ცალკე შემთხვევაში, უზრუნველსაყოფ პირთა რიცხვისა და ოჯახის ჩვეულებრივი ბიუჯეტის მიხედვით; ამასთანავე, როგორც საერთო წესი, ოჯახის ყველა უზრუნველსაყოფ წევრთათვის ერთობლივად არ უნდა აღემატებოდეს მე-16 მუხლში აღნიშნულ რაოდენობას.

18. პერსონალური პენსია გაიცემა ყოველთვიურად პენსიონერის მიერ დასახელებული სახელმწიფო შრომითი საშემნახველო სალაროს მეშვეობით, გასული თვისთვის, არა უგვიანეს ამ თვის უშუალოდ მომდევნო თვის პირველი რიცხვისა. პენსია მიეცემა პენსიონერს სათანადო მოწმობის წარდგენისას, რაც მას ეძლევა პერსონალური პენსიების დანიშვნის საქმეთა კომისიის მიერ (საპენსიო წიგნაკი). პერსონალური პენსიონერის წერილობითი განკარგულების თანახმად საშემნახველო სალარომ პენსია უნდა გადაუგზავნოს მას იმავე ვადაზე ფოსტით, გადაგზავნის ხარჯის დაჭერით.

19. პერსონალური პენსიონერის მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ან საბჭოთა სხვა რესპუბლიკაში გადასვლა არავითარ შემთხვევაში არ იწვევს არც მისთვის დანიშნული პენსიის რაოდენობის შეცვლას, არც მოსპობას.

20. უკეთუ პერსონალურ პენსიონერს აქვს სამუშაო საშოვარი, რაც მისთვის დანიშნული პერსონალური პენსიის თანხასთან ერთად აღემატება პასუხისმგებელ პოლიტიკურ მომუშავეთა პირველი სატარიფო ზოლის ტარიფის უმაღლესი განაკვეთის ერთ და ნახევარ რაოდენობას (ამ განაკვეთისა და დატვირთვის სასყიდლის ერთად ჩათვლით), პერსონალური პენსიის რაოდენობა სათანადოდ შემცირებულ უნდა იქნეს; საშოვრის დაკარგვის ან შემცირების შემთხვევაში პენსია ავტომატურად ან აღდგენილ იქნება მთლად ან სათანადოდ გადიდებული, ხოლო ისე-კი, რომ საშოვრისა და პენსიის საერთო თანხა არ აღემატებოდეს ამა მუხლით დადგენილ მაქსიმუმს. პენსიის მიცემის შეჩერება არ უსპობს პენსიონერს ყველა სხვა უფლებას და უპირატესობას, რაც მას მინიჭებული აქვს ამა დებულებით.

21. უკეთუ პერსონალური პენსიონერის პერსონალური პენსია და სისტემატური საშოვარი ან შემოსავალი ერთობლივად აღემატება ამა დებულების მე-20 მუხლით გათვალისწინებულ მაქსიმუმს, იგი მოვალეა აცნობოს ეს პერსონალური პენსიების დანიშვნის საქმეთა კომისიას. ამ გარემოების დამალვა გამოიწვევს პერსონალური პენსიონერის პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხლის მიხედვით. ამ შემთხვევაში პერსონალური პენსიონერის მიერ ზედმეტად მიღებული თანხა უნდა დაეჭიროს მას მისი ხვედრი პენსიიდან მარტოოდენ სასამართლოს განაჩენის ან თვით პენსიონერის წერილობითი განცხადების თანახმად.

22. გარდა იმ შემთხვევისა, რომ პერსონალურ პენსიონერს დაეჭირება, წინა მუხლის წესისამებრ, ზედმეტად მიცემული პენსია, პერსონალური პენსიიდან შეიძლება დაჭერილ იქნეს მხოლოდ საალიმენტო გადასახდელი—სასამართლოს დადგენილებით ან სააღსრულებო წარწერის თანახმად.

სხვა არავითარი საფუძვლით პერსონალური პენსიიდან რისამე დაჭერა არ შეიძლება.

ზედმეტად მიღებული პენსიის დასაფარავად შეიძლება დაჭერილ იქნეს თვეში არა უმეტეს თვიური პენსიის 20%-ისა.

საალიმენტო გადასახდელი დაიჭირება იმ საფუძველზე, რაც დადგენილია მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასიდან ასეთი გადასახდელის დაჭერისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაჭერი თანხის რაოდენობა ზემოაღნიშნული ორივე საფუძვლით არ შეიძლება აღემატებოდეს ერთობლივად თვიური პენსიის 50%-ს.

23. ერთდროული დახმარება პერსონალურ პენსიონერს ეძლევა ყოველ წელს პენსიის თვიური განაკვეთის რაოდენობით, პერსონალური პენსიონერის მიერ განცხადებულ ვადაზე.

ამის გარდა, განსაკუთრებული გაჭირვების გამო, პერსონალურ პენსიონერს და აგრეთვე იმ პირს, ვისაც პერსონალური პენსიის მიღების უფლება აქვს, პერსონალური პენსიების დანიშვნის საქმეთა კომისიის განსაკუთრებული დადგენილებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში, შეიძლება მიეცეს ერთდროული დახმარება ამ კომისიის მიერ დადგენილი რაოდენობით; ასეთ შემთხვევაში ერთდროული დახმარების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მე 16 მუხლით დადგენილი უმაღლესი პენსიის რაოდენობას.

24. ერთდროულ დახმარებას გასცემს ან, სათანადო შემთხვევაში, გადაგზავნის ფოსტით უშუალოდ თვით სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

25. განცხადება და დოკუმენტები, სხვათაშორის—რწმუნებულობა პერსონალური პენსიის და ერთდროული დახმარების მიღებისათვის, განთავისუფლებულია ერთიანი სახელმწიფო ბაჟისაგან.

## ნაწილი IV.

### იმ პირთა შრომითი მოწყობა, ვინც პერსონალურ პენსიას იღებს.

26. იმ პირთ, ვინც ამა დებულების თანახმად პერსონალურ პენსიას იღებს, შეუძლიანთ წევრად შევიდნენ ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებში (არტელებში); ამასთანავე ისინი არა ჰკარგავენ პენსიის მიღების უფლებას და აგრეთვე იმ შეღავათებისა და უპირატესობის უფლებას, რაც ჩამოთვლილია მე-V კარში, იმისდამიუხედავად, თუ რამდენ ხანს დაჰყოფენ ამ შენაერთებში. ინვალიდთა კოოპერაციაში მყოფი პენსიონერისათვის პერსონალური პენსიის მიცემის დროს ანგარიშში მიიღება მისი საშოვარი არტელში ამა დებულების მე-20 მუხლის თანახმად.

27. პერსონალური პენსიონერის ინვალიდთა არტელში შესვლის დროს იგი იხდის თავის ხვედრ საპაიო შესატანს არტელის წესდების საერთო საფუძველზე და მომქმედი წესების მიხედვით.

28. ის პირი, ვინც პერსონალურ პენსიას იღებს, რეგისტრდება შრომის ბირჟაზე და იგზავნება სამუშაოზე რიგს გარეშე, ხოლო მისი ოჯახის წევრი—პროფესიონალურ კავშირთა წევრ-მუშების თანაბრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი V.

### იმ პირთა სპეციალური შეღავათები და უპირატესობა, ვინც პერსონალურ პენსიას იღებს.

**29.** პერსონალური პენსიონერი საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდის მუშათა და მოსამსახურეთათვის დაწესებული ბინის ქირის განაკვეთების მიხედვით, მინაღები პენსიისა და სამუშაო საშოვარის (უკეთუ ეს საშოვარი აქვს) 50%-ის ანგარიშის კვალობაზე. ამასთანავე, შემთხვევითი სამუშაო საშოვარი ანგარიშში არ მიიღება.

**30.** პერსონალური პენსიონერის უფლება ზედმეტ საცხოვრებელ ფართობზე, რაც მას და მის ოჯახს უჭირავს, და დამატებითს საცხოვრებელ ფართობზე, რაც მას პერსონალური პენსიის მიღებამდე ჰქონდა, ენარჩუნება მას მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც პერსონალურ პენსიას მიიღებს.

ქირას ზედმეტი საცხოვრებელი ფართობისა და დამატებითი ფართობისათვის, რა სივრცისაც უნდა იყოს იგი, პერსონალური პენსიონერი იხდის ერთმაგი რაოდენობით და ამა დებულების 29 მუხლში დადგენილი მონაკლებით. ეს შეღავათი, უკეთუ პერსონალური პენსიონერი გარდაიცვალა, ენარჩუნება მისი ოჯახის წევრებს, უკეთუ აღიარებულ იქნა მათი უფლება პერსონალური პენსიის მიღებისა ან გარდაცვლილი პენსიონერის შეღავათების შენარჩუნებისა.

**31.** პერსონალური პენსიონერის გამოსახლება (ან გადასახლება) მის მიერ დაჭერილი სადგომიდან შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით და იმ პირობით, რომ მას მიეცეს საცხოვრებლად ვარგისი თავისუფალი ფართობი არა ნაკლებ იმ სივრცისა, რაც მას ეჭირა, და სატრანსპორტო საშუალებანი გადასასვლელად.

**32.** სასყიდელს კომუნალური მომსახურეობისათვის (სარგებლობა საკუთარი სამეურნეო საჭიროებისათვის საქალაქო წყალსადენიდან წყლით, კანალიზაციით, ელექტრო-ენერგიით განათებისა და საოჯახო საჭიროებისათვის, საქალაქო სამრეცხველოებით, საზოგადოებრივი აბანოებით და სხვა მისთ. და აგრეთვე მიმოსვლა საქალაქო ტრამვაით და ავტობუსებით) პერსონალური პენსიონერი იხდის ადგილობრივი საბჭოების მიერ დადგენილი შეღავათიანი ტარიფების კვალობაზე.

**შენიშვნა:** ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიანთ მთლად გაანთავისუფლონ პერსონალური პენსიონერები ყველა კომუნალური მომსახურეობის ან ზოგიერთი სახის კომუნალური მომსახურეობის სასყიდლისაგან.

**33.** პერსონალური პენსია და ერთდროული დახმარება განთავისუფლებულია ყველა გადასახადისა და გამოსაღებისაგან. უკეთუ პერსონალურ პენსიონერს, პენსიის გარდა აქვს სხვა რამ შემოსავალი ან სამუშაო საშოვარი, დაიბეგრება მხოლოდ ეს შემოსავალი და საშოვარი, უკეთუ იგი და-

უბეგრავ მინიმუმს აღემატება, ხოლო პერსონალური პენსია დასაბეგრავ შემოსავალში არ შედის.

34. ამის გარდა, პერსონალურ პენსიონერს აქვს შემდეგი შეღავათები ადგილობრივი გადასახადების სფეროში:

ა) შენობის გადასახადისაგან თავისუფლდება ის შენობა, რაც პერსონალურ პენსიონერს ეკუთვნის, უკეთუ შენობა უშუალოდ თვით პერსონალურ პენსიონერს და მის ოჯახს უჭირავს და არ ქირავდება ექპლოატაციის მიზნით;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან თავისუფლდება პერსონალური პენსიონერის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებანი (ცხენი, ველოსიპედი და სხვა მისთ.), რაც მომსახურეობას უწევს თვით პერსონალურ პენსიონერს და მის ოჯახს;

გ) ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან თავისუფლდება პერსონალური პენსიონერის კუთვნილი ოთხფეხი საქონელი, რაც გამოიყენება თვით პერსონალური პენსიონერისა და მისი ოჯახის საჭიროებისათვის.

35. პერსონალურ პენსიონერს უფლება აქვს უფასოდ შევიდეს ყველა სახელმწიფო მუზეუმში, გამოფენაზე, ბაღში და სხვა ამგვარ კულტურულ დაწესებულებაში.

36. პერსონალურ პენსიონერს აქვს ყოველგვარი სამედიცინო, სამედიკამენტო და საპროტეზო დახმარების უფლება უფასოდ და რიგს გარეშე, ხოლო მისი ოჯახის წევრებს—დაზღვეული მუშების თანაბრად.

საკურორტო-სასანიტარო დახმარების სფეროში პერსონალური პენსიონერი გათანასწორებულია მუშებთან. ამის გარდა, კომისიას შეუძლიან გაგზავნოს იგი სანატორიუმში სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის იმ სახსრით, რაც ეძლევა ამ კომისარიატს პერსონალური პენსიებისა და დახმარების გასაცემად.

37. პერსონალურ პენსიონერს უფლება აქვს რიგს გარეშე იქნეს მიღებული სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში (ინვალიდთა სახლებში და სხვა მისთ.) და სახალხო ჯანმრთელობის დაწესებულებებში (ქრონიკების და ტრავმატიკების სახლებში, ნერვებით და სულით ავადმყოფთა სპეციალურ დაწესებულებებში და სხვა მისთ), ხოლო მათი ოჯახის წევრები იმავე დაწესებულებებში მიიღებიან დაზღვეული მუშების თანაბრად.

38. პერსონალური პენსიონერის შვილები და მის რჩენაზე მყოფი პირები მიიღებიან ყველა სასწავლებელში (დაბალ, საშუალო და უმაღლესში) და საალმზრდელო დაწესებულებაში (საბავშო სახლები და სხვ.) რიგს გარეშე და უპირატესად, სხვა კანდიდატებთან შედარებით, თავისუფალ ადგილებზე და სტიპენდიებზე და განთავისუფლდებიან სწავლისა და აღზრდის სასყიდლისაგან.

ასეთივე შეღავათები ეძლევა თვით პერსონალურ პენსიონერს ყოველგვარ მოკლევადიან კურსებზე, მუშათა ფაკულტეტებზე, ტექნიკუმებში, უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის დროს.

39. პერსონალურ პენსიონერს უფლება აქვს წევრად შევიდეს ყველა, გამოუკლებლად, კოოპერატიულ ორგანიზაციაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე. კოოპერატიულ ორგანიზაციებში წევრად შესვლისას იგი საპაიო და საწევრო შესატანს იხდის იმ უმცირესი რაოდენობით, რაც დაწესებულია ამა თუ იმ კოოპერატივში; თანაც უფლება აქვს, რომ მის სამომხმარებლო და სამეურნეო საჭიროებას მომსახურეობა გაეწიოს მთელი კოოპერატიული ქსელის მიერ კოპერატივის წევრ-მუშების თანაბრად.

კოლექტიურ მეურნეობაში შესასვლელად პერსონალურ პენსიონერს აქვს ყველა ის შეღავათი, რაც დაწესებულია ღარიბი მეურნეობებისათვის.

40. ყველა ის შეღავათი, რაც ამა დადგენილებით მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ პერსონალურ პენსიონერებს, ვრცელდება მის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე, რომელნიც პერსონალურ პენსიას იღებენ სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-ისა, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილების თანახმად.

41. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები მოვალენი არიან გამოიჩინონ პერსონალური პენსიონერების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა, კერძოდ, იხმარონ ყოველი ღონისძიება, რათა პერსონალური პენსიონერები უზრუნველყოფილ იქნენ ყველა იმ შეღავათით და უპირატესობით, რაც მათ მინიჭებული აქვთ კანონით, და სათანადო შემთხვევაში, დადგენილი წესისამებრ პასუხისგებაში აძლიონ თანამდებობის პირნი ამა დებულების შეუსრულებლობისათვის.

## ᲗᲐᲠᲘ VI.

### პერსონალური პენსიები ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის.

42. იმ პირთ, ვისაც აქვს ადგილობრივი მნიშვნელობის თვალსაჩინო დამსახურება (ადგილობრივი კულტურისა და ენის სფეროში, კულაკობასთან განსაკუთრებით აქტიურ ბრძოლაში, რის გამოც იგი დაშავდა, და სხვა), ხოლო მათი სიკვდილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში—მათი ოჯახის წევრებს შეიძლება დაენიშნოს ადგილობრივი პერსონალური პენსია ამა დებულებასთან შეფარდებით.

43. ადგილობრივი პერსონალური პენსია ინიშნება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების დადგენილებებით და გაიცემა სათანადო (რესპუბლიკანური, საოლქო, სარაიონო და საქალაქო) ბიუჯეტიდან.

44. შელავათებს და უპირატესობას იმ პირთათვის, რომელნიც ადგილობრივ პერსონალურ პენსიას იღებენ, და მათი ოჯახის წევრთათვის აწესებენ საათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოები.

45. ადგილობრივი პერსონალური პენსიის მქონე პირთათვის დაწესებული შელავათები მთლად ვრცელდება იმ პირებზე, რომელნიც პერსონალურ პენსიას იღებენ სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-ისა, საქართველოს სსრ-ის მოკავშირე რესპუბლიკების და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებების თანახმად, უკეთუ ეს პირნი ცხოვრობენ იმ ტერიტორიაზე, სადაც მოქმედობს აღნიშნული შელავათები.

---

ფასი 20 კაპ.

მთავლიტი № 104. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. შეკვ. № 232. ტირაჟი 1.700.